პირველი განაცხადი ბროლზე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - ასკ (როსტოვი) 3:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე (გოგია), ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, კუტივაძე, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი (ილიადი).

ასკ: ბოიჩენკო, კორნეევი, გეტმანოვი, კრავჩენკო, აფონინი, კაზაჩოკი, პოპოვი, ბორდოვსკიხი, კოპაევი, რომანოვი (ანფიმიადი), კოლინკო (ბუროვი).

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოს” ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავს საკავშირო თასის მიმდინარე გათამაშებაში. ჯერ - მეთექვსმეტედფინალში მას შეხვდა როსტოვის არმიელთა გუნდი. ახლა - მერვედფინალში მისი მეტოქეა სვერდლოვსკის “ურალმაში” (ცნობისთვის: ეს გუნდი “ა” კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის პოტენციური ლიდერია), ხოლო მასEშემდეგ თუ, რა თქმა უნდა, გავიმარჯვეთ, შევხვდებით ცსკა-სა და მოსკოვის “ტორპედოს” შორის მოგებულს. ეს იქნება მხოლოდ მეოთხედფინალში. თუ ეს უძნელესი გზაც გავლილ იქნა, ნახევარფინალში ახალი პრობლემაა გადასაჭრელი - მოსკოვის “დინამო” ან ბაქოს “ნეფტჩი’.

და მიუხედავად ასეთი რთული პერსპექტივისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის “დინამოს” შეუძლია წარმატებით იბრძოლოს საპატიო პრიზის წლევანდელ ასპარეზობაში. საამისო საფუძველს გვაძლევს მისი 28 ივნისს ნათამაშები მატჩი როსტოვის არმიელებთან.

ქების ღირსია მთელი გუნდი. ისე განვლო თამაშის 90-მა წუთმა, რომ როსტოველებს თითქმის არ ჰქონიათ მცირე პერიოდიც კი, ეფიქრათ მატჩის ბედის შემოტრიალებაზე და კონტრთამაშის შექმნაზე. ორიოდე მომენტს, როცა ურუშაძე “იოლი შიშით” გადაურჩა ხიფათს, რასაკვირველია, არ შეეძლო არსებითი კორექტივები შეეტანა შეხვედრის შედეგში. სტუმრები განწირული იყვნენ პირველივე წუთებიდან, როცა მათი კარი თბილისელთა უძლიერესი შტურმის წინაშე აღმოჩნდა და დაცვითი ხაზები განუწყვეტლივ თხოულობდნენ მაშველ ძალას თავდამსხმელთაგან.

ყველა იმ მომენტის აღწერა, რომლებიც არმიელთა კართან შეიქმნა პირველი ათიოდე წუთის მანძილზე, შორს წაგვიყვანდა. თბილისელთა შეტევები მიმდინარეობდა არა მარტო მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, არამედ კიდევ უფრო ახლოს, კარიდან 4-5 მეტრის დაშორებით და გოლი, რომელიც გავაშელმა გაიტანა მე-14 წუთზე, მოვლენათა მხოლოდ მოგვიანებული ფიქსირება იყო. მეტრეველმა და კუტივაძემ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დამთავრდა. ბოიჩენკოს მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო გავაშელმა და ზუსტად გაგზავნა იგი კარში - 1:0.

ტაიმი დამთავრდა ისე, რომ მსაჯს თითქმის არ დასჭირვებია თბილისელთა ნახევარზე გადასვლა. იგი იმყოფებოდა იქ, სადაც თამაში მიმდინარეობდა, იქ, სადაც სტუმრების მცველები ყოველგვარი საშუალებით, დაშვებულით თუ აკრძალულით, ებრძოდნენ მოპირდაპირე თავდამსხმელებს.

მეორე ტაიმში, რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ, დინამოელებმა კიდევ ორჯერ აიღეს არმიელთა კარი. 74-ე წუთზე მეტრეველმა თავისი ინდივიდუალური გარღვევა გოლით დაამთავრა და ცოტა ხნის შემდეგ ილიადის მიერ მოწოდებული ბურთი ასათიანმა თავით გაიტანა სტუმართა კარში.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 30 ივნისი, 1968 წ.